ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2021-2022 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

(ცნობა საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის 20 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში'' (მისამართი ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41) დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2021-2022 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭო ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ'' ქვეპუნქტებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე საზოგადოებას საჯარო განხილვისთვის წარუდგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2021-2022 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტს. (იხ. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდი www.ajaratv.ge). ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე აღნიშნულ საჯარო ადმინიტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

პროგრამული პრიორიტეტების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლით წერილობით წარმოადგინოთ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ში. (მის: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41) ან გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე ajaratvboard@gmail.com ოცი დღის განმავლობაში. (2021 წლის 21 მაისიდან 09 ივნისის ჩათვლით).

პირი უფლებამოსიალია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2021-2022 წლების პროგრამული პრიორიტეტების საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს სხდომა (ზეპირი მოსმენა) ჩატარდება არაუგვიანეს 2021 წლის 10 ივნისისა, რომლის თაობაზეც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭო 2021-2022 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართელბრივ აქტს გამოსცემს აღნიშნული სხდომის ჩატარებიდან/დასრულებიდან 10 დღის ვადაში.